# შპს „კანდიდი“ საშუალო სკოლა

# III ა კლასის მასწავლებლის

# ეკატერინე ხმალაძის

# I სემესტრის

# საგნობრივი

# ანგარიში

# 2021- 2022 სასწ. წ.

2021-2022 სასწავლო წლის I სემესტრში III ᵇ კლასში ირიცხება 18 მოსწავლე, აქედან 10 გოგონა და 8 ვაჟი.

| |
|---|
| 1. ჭავჭავაძე ილია |
| 2. ბალიაშვილი ანასტასია |
| 3. ბეკურაშვილი ლუსია |
| 4. გეგეჭკორი ანდრია |
| 5. დაუთაშვილი დაჩი |
| 6. კაკულია ნენე |
| 7. კიკნაძე ნოდარი |
| 8. ნაჭყებია ემილი |
| 9. ჟამერაშვილი დავითი |
| 10.ომიაძე გიორგი |
| 11. როგავა ნინო |
| 12. ჯავახიშვილი ანდრია |
| 13.ჩადუნელი ელისაბედი |
| 14.ჩიტიშვილი ლილე |
| 15.ჩხარტიშვილი ანა-მარია |
| 16.წიქორაძე ბარბარე |
| 17. ხარებაშვილი ნიკოლოზი |
| 18.ხუბაევი მარიამი |

საათობრივი დატვირთვა:

ქართული ენა - 6სთ.
მათემატიკა - 5სთ.
ბუნებისმეტყველება - 2სთ.
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - 2სთ.
მე და საზოგადოება – 1 სთ.

III კლასის სახელმძღვანელოების ჩამონათვალი:

| N | საგანი | გამომცემლობა | ავტორები |
|---|---|---|---|
| 1 | ქართული ენა და ლიტერატურა | "მერიდიანი" | ნ. მაღლაკელიძე, ე. მაღლაკელიძე |
| 2 | მათემატიკა | ,,საგინაშვილი" | თ. ბექაური, ა. საგინაშვილი |
| 3 | ბუნებისმეტყველება | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | ლ. მიქიაშვილი, მ.ლევიძე, მ.კვანტალიანი |
| 4 | სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | ნ. იოსელიანი. ს. ქებურია |
| 5. | მე და საზოგადოება | შპს ,,გამომცემლობა სიდი" | ნინო ტალახაძე |

დამატებითი ლიტერატურა:

1. წიგნის სამყარო – ნ.მაღლაკელიძე
2. დამატებითი სავარჯიშოები მათემატიკაში – ი.რუხაძე, ნ.ბაციკაძე

ჩემი მუშაობა ემყარებოდა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მიმართული იყო მოსწავლეების გონებრივი, სოციალური და სულიერი

განვითარებისაკენ. საჭიროა თითოეული მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრაცია. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ გარემოში იმყოფება იგი. ამიტომ ვცდილობდი შემექმნა კლასში მშვიდი, მოხერხებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე იგრძნობდა მასწავლებლისა და თანაკლასელების მხარდაჭერას. ყველა ბავშვი უნიკალურია. ისინი ერთმანეთისაგან ნიჭითა და შესაძლებლობებით განსხვავდებიან. ამიტომ ვცდილობდი მათში ძლიერი მხარეების აღმოჩენას და მისი გამოვლენისათვის საჭირო პირობების შექმნას.

ვცდილობდი მოსწავლეებს გაეთავისებინათ ცნება – თანაკლასელი, რათა თავიდანვე ამეცილებინა ურთიერთობისას კონფლიქტები. ხშირად ვუმეორებდი: „მოექეცი ისე სხვას, როგორც შენ გინდა მოგექცნენ“. ვატარებდი საუბრებს დისკუსიის ფორმატით, იმიტირებული თამაშებით.

მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავე ქცევის წესები და გამოვაკარი თვალსაჩინო ადგილას. გავმართე დისკუსია, თუ რატომ არის საჭირო ამ წესების დაცვა. შევადგინე მორიგეობის სია, რითაც მოსწავლეები უზრუნველყოფენ ოთახის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას, სასკოლო ინვენტარის გაფრთხილებას. ბავშვები გაითავისებენ, რომ სკოლა მათი საკუთრებაა.

ზოგიერთ მოსწავლეს უჭირს ყურადღების კონცენტრაცია. უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა სხვადასხვა აქტივობების შესრულებისას. ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით ყოველ აქტივობაზე ვაწესებდი დროს. ეს რასაკვირველია, აისახება სწავლაზეც. მათ ნაწილობრივ შესწევთ აქტივობების შესრულების უნარი, მაგრამ იმისათვის, რომ ჩვევაში გადაეზარდოთ, სჭირდებათ დიდი ძალისხმევა. ამისათვის ვცდილობდი სხვადასხვა ხერხით მათი ყურადღების მიპყრობას. მათ მშობლებთან მქონდა ინტენსიური კომუნიკაცია და ერთად ვსახავდით პრობლემის გადაჭრის გზებს.

სასწავლო წელი დისტანციურ რეჟიმში დაიწყო. ორი კვირის შემდეგ სწავლა ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა და სასწავლო პროცესი საკლასო ოთახებში გაგრძელდა, სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციებისა და რეკომენდაციების სრული დაცვით.

ონლაინ სწავლებისათვის პლატფორმა „Zoom”-ი გამოვიყენე. გამომდინარე იქიდან, რომ გასულ წელს უკვე გვქონდა დისტანციური სწავლების გამოცდილება, შესაბამისად მოსწავლეები მარტივად ფლობდნენ ამ ტიპის სწავლების უნარებს.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ პროცესში მშობელთა ჩართულობა. ამისათვის შედგა მშობლებთან ონლაინ შეხვედრა. ვისაუბრეთ სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის ყურადღება გავამახვილე სწავლების ხარისხზე.
ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ პროცესში მოსწავლეთა უკუკავშირი. ბავშვები დავალებებს მესენჯერის საშუალებით მიგზავნიდნენ. იქვე ვაკეთებდი მათთვის გაუგებარი საკითხების ახსნა-განმარტებას.
I სემესტრის ბოლოს ყველა მოსწავლემ დასძლია სტანდარტით გათვალისწინებული მასალა ყველა საგანში.

I სემესტრის ბოლოს **ქართულ ენასადა ლიტერატურაში** ყველა მოსწავლემ შეძლო სტანდარტის შესაბამისად დაკმაყოფილება. მოსწავლე საკუთარი სიტყვებით, თანამიმდევრულობისა და აზრობრივი შესაბამისობის დაცვით გადმოსცემს ტექსტის შინაარსს; ამოიცნობს ტექსტის თემას, წვდება დედააზრს (მთავარ იდეას); აღწერს და ახასიათებს პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით; ამოიცნობს პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს; გამოხატავს პირად დამოკიდებულებას; ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს პირად გამოცდილებასთან და გამოაქვს დასკვნა; მონაწილეობს როლურ კითხვაში.
კითხვების (რა? ვინ? როგორი? რამდენი? რას აკეთებს?) გამოყენებით განასხვავებს შესაბამის მეტყველების ნაწილებს; სწორად დამარცვლავს სიტყვებს და გადააქვს სტრიქონიდან სტრიქონზე; სწორად უხამებს ზმნას სახელს პირსა და რიცხვში; სწორად ათანხმებს რიცხვით და /ან ზედსართავ სახელსა და არსებით სახელს ბრუნვასა და რიცხვში.
ქართული ენაში „კინგსის“ შემოდგომის სეზონის ოლიმპიადის I ტურში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა მოსწავლეებმა: ბარბარე წიქორაძე, დაჩი დაუთაშვილი, ნიკოლოზ ხარებაშვილი, ლუსი ბეკურაშვილი, ანდრია გეგეჭკორი, ანა-მარია ჩხარტისვილი, ლილე ჩიტიშვილი. ტესტის დავალებებს კარგად გაართვეს თავი და მაღალი შედეგები აჩვენეს.

I სემესტრის ბოლოს **მათემატიკაში** ყველა მოსწავლემ შეძლო სტანდარტის შესაბამისად დაკმაყოფილება. თითოეული მოსწავლე კითხულობს და გამოსახავს რიცხვებს 100-ის ფარგლებში; ასახელებს რიცხვის ჩანაწერში სხვადასხვა თანრიგში მდგომი ციფრების შესაბამის მნიშვნელობებს, წარმოადგენს რიცხვს სათანრიგო შესაკრებების ჯამის სახით; იყენებს პოზიციურ სისტემას რიცხვების შედარებისას, ალაგებს რიცხვებს ზრდადობით ან კლებადობით; ასახელებს მოცემული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვებს; უახლოეს ხუთეულს, ათეულს, ოცეულს. ირჩევს და იყენებს შეკრება-გამოკლების მოქმედებების შესრულების ადეკვატურ ხერხს კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში; ამოცანის ამოსახსნელად ადგენს არითმეტიკული მოქმედებების შემცველ ტოლობას და პოულობს უცნობ კომპონენტს. გეომეტრიული ფიგურის სიტყვიერი აღწერილობის მიხედვით ქმნის ამ ფიგურის გრაფიკულ გამოსახულებას.
მათემატიკაში „კინგსის“ შემოდგომის სეზონის ოლიმპიადის I ტურში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა მოსწავლეებმა: ბარბარე წიქორაძე, დაჩი

დაუთაშვილი, ნიკოლოზ ხარებაშვილი, ლუსი ბეკურაშვილი, ანდრია გეგეჭკორი, ანა-მარია ჩხარტისვილი, ლილე ჩიტიშვილი. ტესტის დავალებებს კარგად გაართვეს თავი და მაღალი შედეგები აჩვენეს.

ილია ჭავჭავაძეს და ემილი ნაჭყებიას შედარებით უჭირთ დამოუკიდებლად მუშაობა და მათთან ვმუშაობ ინდივიდუალურად დამატებითი დროის ხარჯზე.

I სემესტრის ბოლოს მათემატიკაში ჰქონდათ დიაგნოსტიკური წერა. რომელიც საშუალებას იძლევა ზუსტად განვსაზღვროდ ბავშვის შესაძლებლობები და II სემესტრის დასაწყისში, განვლილი მასალის გამეორებისას, უფრო მეტად რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

I სემესტრის ბოლოს **ბუნებისმეტყველებაში** მოსწავლე სვამს შესაბამის კითხვებს და იყენებს კვლევის სხვადასხვა ხერხს მათზე პასუხის მისაღებად; ატარებს მარტივ კვლევით/პრაქტიკულ აქტივობას უსაფრთხოების წესების დაცვით; ატარებს გაზომვებს სხვადასხვა ხელსაწყოს (თერმომეტრის, სახაზავის, წამზომის, სასწორის) საშუალებით, იყენებს სტანდარტულ ერთეულებს; ადარებს და აჯგუფებს კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს; წარუდგენს მიღებულ შედეგებსა და დასკვნებს თანაკლასელებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით ( მაგ: ზეპირი მეტყველების, წერითი მეტყველების, ისტ-ის საშუალებით). ამოიცნობს ყვავილოვანი მცენარის ძირითად ორგანოებს და მსჯელობს მათი დანიშნულების შესახებ; ატარებს ცდას და ავლენს ღეროსა და ფესვის წყალგამტარ ფუნქციას. აყალიბებს ცდის მიზანს, ხსნის მიღებულ შედეგებს და გამოაქვს დასკვნა. მოიპოვებს მასალას ყვავილოვანი მცენარის ორგანოების მრავალფეროვნების შესახებ და უზიარებს თანაკლასელებს; აკვირდება და აღწერს ყვავილოვანი მცენარეების ზოგიერთ გარეგნულ ნიშანს (მაგ. ეკლები, ფესვის სიგრძე და ფორმა), გამოთქვამს ვარაუდს, თუ როგორ ეხმარება ესა თუ ის ნიშან-თვისება მცენარეს გარემოსთან შეგუებაში (მაგ: გრძელი ფესვი ხელს უწყობს ნიადაგის ღრმა ფენებიდან წყლის მოპოვებას); მოიძიებს ინფორმაციას ყვავილოვანი მცენარეების მრავალფეროვნების შესახებ.

ვიმუშავეთ კომპლექსურ დავალებაზე “ ყვავილოვანი მცენარეები”, მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი მითითებულ დავალებებს და მიიღეს დადებითი შეფასებები.

ვიმუშავეთ პროექტზე - “მზის სისტემა “, მოსწავლეებმა მოიძიეს ძალიან საინტერესო მასალები აღნიშნულ თემასთან მიმართებაში, შექმნეს მაკეტები და მოახდინეს ნამუშევრების პრეზენტაცია.

ბუნებისმეტყველებაში სტანდარტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს ყველა მოსწავლე.

I სემესტრის ბოლოს **სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში** მოსწავლე ჩამოთვლის და ამოიცნობს ხელოვნების დარგებს (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, კერამიკა და სხვა); ასახელებს და ამოიცნობს ზოგიერთ ჟანრს (პეიზაჟი, ნატურმორტი, პორტრეტი); მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით ქმნის პეიზაჟებს, ნატურმორტებს, პორტრეტებს; წარმოსახვით, ფანტაზიით ქმნის სიუჟეტებს, პერსონაჟებისა და საგნების გამოსახულებებს; მოსწავლე აკვირდება

გარემოში ობიექტებს, მოვლენებს და ასახავს მიღებულ შთაბეჭდილებებს; მხატვრულ ხერხებს (ხაზი, ფერი, მასალა), ასევე ძირითად, შედგენილ, ცივ და თბილ ფერებს საკუთარი ჩანაფიქრის, შთაბეჭდილებების და ემოციის გადმოსაცემად იყენებს. ქმნის მარტივ ორნამენტებს განმეორებადი ხაზების, ფერების და გეომეტრიული ფიგურებისგან.
სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში სტანდარტის მოთხოვნები აითვისა ყველა მოსწავლემ.

I სემესტრის ბოლოს **მე და საზოგადოებაში** მოსწავლეებს შეუძლიათ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა (პირადი ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, სპორტული აქტივობები);
მოსწავლეებს შეუძლიათ ქცევის წესების გათავისება, თანატოლებთან მათი შეთანხმება და დაცვა; შემწყნარებლობის გამოვლენა განსხვავებული კულტურის, ეროვნების, შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ;
სხვადასხვა პროფესიისა და საქმიანობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერება;
კონფლიქტურ სიტუაციებში პრობლემის გადაჭრის მშვიდობიანი გზების მოძებნა.
საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება;
ვიმუშავეთ კომპლექსურ დავალებაზე – “ ჩემი ოჯახი”, მოსწავლეებმა მოიძიეს ყველა საინტერესო ინფორმაცია მათი ოჯახის წევრებზე, იმ საინტერესო ტრადიციებზე, რომელსაც განსაკუთრებით იცავენ მათ ოჯახში, საყვარელ დღესასწაულებზე, შექმნეს საინტერესო ნამუშევრები და მოახდინეს პრეზენტაცია. ყველა აქტიურად იყო ამ დავალებების შესრულებაშ ჩართული, შეძლეს დაეკმაყოფილებინათ მასწავლებლის მოთხოვები და დაიმსახურეს დადებითი შეფასებები.
„ მე და საზოგადოებაში“ სტანდარტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს ყველა მოსწავლე.

II სემესტრში კვლავ გავაგრძელებ მოსწავლეებთან მუშაობას, რომელიც ემყარება ურთიერთპატივისცემას, თანამშრომლობასა და თანადგომას.